ჭიათურის რაიონის გეოლოგია და სასარგებლო წიაღისეული

დავით არჯევანიძე

davit.arjevanidze324@ens.tsu.edu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქ. 13, თბილისი, საქართველო, 0186

ჭიათურის რაიონი მდებარეობს ამიერკავკასიის მთათაშუა არის ცენტრალური აზევების ზონის ძირულის ქვეზონაში, რომელიც აგებულია კამბრიულამდელი კრისტალური ფიქლებით, გნეისებით, ამფიბოლიტებით, მიგმატიტებით, ქვედა- და შუაპალეოზოური მეტამორფული ფიქლებით, ფილიტებით, პალეოზოური (ვარისკული) გრანიტოიდებით, პალეოზოური ფუძე და ულტრაფუძე ქანებით და ზედაპალეოზოური ვულკანოგენ-დანალექი წყებით. სუბსტრატის გადარეცხილ ზედაპირზე ტრანსგრესიულადაა განლაგე-ბული ქვედაიურული კარბონატული ნალექები, ბაიოსური ვულკანოგენური ქანები, ცარცული კარბონატული, პალეოგენური და ნეოგენური ქვიშიან-თიხიანი ნალექები.

საკვლევ ტერიტორიაზე განვითარებულია როგორც ნაოჭა (პლიკატური), ისე წყვეტითი (დიზუნქტიური) დისლოკაციები, რომლებიც ტექტოგენეზისის სხვადასხვა ეტაპზე წარმოიშვნენ. ჭიათურის საბადოს მსხვილი ტექტონიკური დისლოკაციაა „მთავარი ნასხლეტი“, რომელიც მდ. ყვირილის მარცხენა ნაპირზე მცირდება და გადადის ფლექსურაში. მარგანუმის გამადნება დაკავშირებულია დაწეულ ბაგესთან, აწეულ ბაგეში გამადნება არ არის, ამიტომ იგი მადნის შემომფარგლავი რღვევაა.

გ. ძოწენიძის მოსაზრება, რომ ჭიათურის ვულკანოგენ-დანალექი საბადოს ოლიგოცენურ აუზში მანგანუმი შეიძლება შემოტანილიყო აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყლის ეოცენური ვულკანიზმის მომდევნო ჰიდროთერმული და ფუმაროლ-სოლფატარული მოქმედების შედეგად, არგუმენტირებული და დამაჯერებელია.

ვინაიდან, ჭიათურის გარდა, მანგანუმის სხვადასხვა მასშტაბის დაგროვებები ცნობილია ჩხარ-აჯამეთში, ყვირილის დეპრესიაში, შქმერში და სხვ., ვფიქრობთ, რომ -ჭიათურის მხარეს აქვს შემდგომი პერსპექტივები მანგანუმის მოპოვების თვალსაზრისით.
სალიეთის მარმარილო, წარმოადგენს რა ძვირფას მოსაპირკეთებელ მასალას, ასევე მნიშვნელოვანია რაიონის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.